8 აგვისტო ფიზკულტურელის დღეა!

ფიზიკური კულტურა და სპორტი საქართველოში

სპორტი ჩემპიონებისა და რეკორდსმენების გარეშე არ არსებობს, ფიზიკური კულტურა კი მილიონობით ადამიანის ჯანმრთელობისა და სიმხნევის წყაროა. სწორედ ამიტომ ყველა თვალსაჩინო სპორტული მიღწევა მასობრიობაზეა დაფუძნებული და სათავეს მისგან იღებს. მასობრიობიდან საყოველთაო-სახალხო ფიზკულტურული მოძრაობისკენ მიმავალ გზას, მნიშვნელოვანწილად, ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემებიც (1987 წლის 1 იანვრისათვის) განსაზღვრავს. ეს მონაცემები ამავე დროს, რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის თავისებური სარკეა.

ფიზკულტურაში მეცადინეობს	— 1875880
მათ შორის ქალი	— 671563
შშდ ნიშნოსანი	— 591940
საწარმოო ტანვარჯიშში ჩაბმულია	— 859219
საცხოვრებელ ადგილებში მეცადინეობს	— 101019
სექციებში გაერთიანებულია	— 1006940
ჯანმრთელობის ჯგუფებში მეცადინეობს	— 328930
სტადიონების რაოდენობა	— 90
კალათბურთის მოედანი	— 2819
ფრენბურთის მოედანი	— 3975
ხელბურთის მოედანი	— 981
ჩოგბურთის მოედანი	— 96
სასროლო ტირი	— 356
საცურაო აუზი	— 78
სპორტული დარბაზი	— 1637
ფეხბურთის მინდორი	— 1778
სპორტის დამსახურებული ოსტატი	— 157
საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი	— 317
დიდოსტატი ჭადრაკში	— 10
სპორტის ოსტატი	— 7243
სსრკ დამსახურებული მწვრთნელი	— 92
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი	— 745
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი	— 56
საკავშირო კატეგორიის მსაჯი	— 468
ოლიმპიური ჩემპიონი	— 24
მსოფლიო ჩემპიონი	— 92
ევროპის ჩემპიონი	— 39
ევროპის ჩემპიონი	— 165
ევროპის ჩემპიონი	— 824
ევროპის ჩემპიონი	— 236
ევროპის ჩემპიონი	— 59
ევროპის ჩემპიონი	— 50
ევროპის ჩემპიონი	— 77
ევროპის ჩემპიონი	— 39
ევროპის ჩემპიონი	— 44
ევროპის ჩემპიონი	— 12
ევროპის ჩემპიონი	— 77
ევროპის ჩემპიონი	— 59
ევროპის ჩემპიონი	— 50
ევროპის ჩემპიონი	— 824
ევროპის ჩემპიონი	— 236

პროლეტარეთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სპორტი

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

8 აგვისტო, შაბათი, 1987 წ.
№ 158 (9564) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზკულტურელის დღეს ეძღვნება

● 6 აგვისტოს მოსკოვში გაიმართა ფიზკულტურელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. მოხსენებით გამოვიდა საბჭოთა კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მ. გრამოვი.

● დღეს, 9 საათზე, ფიზკულტურელის დღესთან დაკავშირებით რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდები და სპორტსკოლების აღსაზრდელთა საკავშირო თამაშების მონაწილე ნორჩი სპორტსმენები თბილისში გვირგვინით შეამკობენ ვ. ი. ლენინის ძეგლს. შემდეგ მოეწყობა საქალაქო კრება, რომელსაც თბილისის სპორტკომიტეტი ატარებს.



სტარტი — ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე 9 საათსა და 20 წუთზე.

● პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო თბილისში ატარებს მძლეოსნურ კრასს. სტარტი — პლეხანოვის გამზირზე, რკინიგზელთა სახლთან, 11 საათზე. მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებები გაიმართება ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების, „გამარჯვების“ პარკებში, დიღმის ტყე-პარკში, ბაზალეთის ტბაზე (ტურისტული ლაშქრობა), თბილისის ათივე რაიონში. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ჩატარდება მასობრივი ღონისძიებები ყველასთვის ხელმისაწვდომ სპორტის სახეობებში, ეროვნულ და ხალხურ თამაშებში.

● თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალურ საწყლოსნო-სპორტულ კომპლექსში 8 აგვისტოს ფიზკულტურის დღესთან დაკავშირებით ნაჩვენები იქნება ფილმები სპორტულ თემაზე: „ლევან თედიაშვილი“ და „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს“. დასაწყისი 21 საათსა და 30 წუთზე. ბილეთები გაიყიდება კომპლექსის სალაროებში, 12 საათიდან.

ეძღვნება ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

ჩვენი გუნდები ნახევარფინალში

კალათბურთელთა შეჯიბრების მეოთხე დღეს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები ისვენებდა. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: უკრაინა (განათლების სამინისტრო) — სამხრეთის ზონა — 70:62, რსფსრ — „ურალი“ — 120:43, პროფკავშირები-II — საბჭოთა არმია — 88:62, „დინამო“ — პროფკავშირები-I — 94:83.

მეხუთე დღეს განსაკუთრებით პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა მასპინძელთა შეხვედრას პროფკავშირების მეორე გუნდთან, რომელიც ძირითადად ლიტვის მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული. სტუმრებს მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს ნახევარფინალში გასასვლელად. მასპინძლები დამარცხების შემთხვევაში ჯგუფში მეორე ადგილზე გადიოდნენ. საქართველოს ნაკრების კალათბურთელები მთელი თამაშის მანძილზე წინ იუვნენ. მკირე სხვაობა ანგარიშში იმით აიხსნება, რომ სტუმრები ზუსტად იყენებდნენ სამქულიან სროლებს და მოახერხეს კ. შენგელიას ნეიტრალიზება ფარქვეშ. მწვრთნელებმა ტაქტიკა შეცვალეს. შენგელია აქტიურად ითამაშადა მთელ მოედანზე. მისმა სამმა ზუსტმა სამქულიანმა სროლამ მატჩის ბედი საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ გადაწყვიტა — 72:66. მასპინძლებმა პროგრამამ მინიმუმი შეასრულეს — ოთხივე მატჩი მოიგეს და ნახევარფინალში გავიდნენ.

რა შეიძლება ითქვას მათ თამაშზე? საქართველოს ნაკრებს კახა შენგელიას სახით გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს არა მარტო მის მიერ მოგროვილი ქულები, არამედ შენგელიას აქტიური თამაში დაცვაში, სწრაფი დაფარებები (ბლოკშოტი), ფარქვეშ ბრძოლა. ამერიკის სტუდენტური კალათბურთის სუპერვარსკვლავმა პატ იუვინგმა (ახლა ის პროფესიონალებშია) ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „გაცილებით უფრო დიდ სიამოვნებას მანიჭებს ის, რომ არ ჩავაგდებინო ბურთი მოწინააღმდეგეს, ვიდრე თავად დავლაშქრო მეტოქის კალათი!..“

იხ. მე.2 გვ.

საქართველოს სპორტსმენთა მონაბარი

● ოქროს მედალი. ტყვიის სროლა — **დიმიტრი გევორქოვი.**

● ვერცხლის მედლები. ტყვიის სროლა — **დარეჯან დუმბაძე;** წყალში ხტომა — **ნანა ნებიერიძე (კოშკი).**

● ბრინჯაოს მედალი. ტყვიის სროლა — **ლაშა კობეშავიძე.**

სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

პრეტენდენტად არავინ თვლიდა

შეჯიბრების მესამე დღე იღბლიანი გამოდგა ქართველ ბადმინტონისტ გოგოხათა წყვილისათვის — ელისო მარგველაშვილმა და ნინო ხალილაშვილმა დაამარცხეს პროფკავშირთა პირველი ნაკრების წარმომადგენლები (ბირუკოვა-იაკუშევა) და ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს.

ტურნირის დაწყებამდე საქართველოს ნაკრებს სპრიზო ადგილის პრეტენდენტად არავინ თვლიდა, მაგრამ ახლა ჩვენს გუნდს მესამე ადგილზე გასვლის რეალური შანსი გაუჩნდა. გუნდური გამოსვლის შედეგი, როგორც იცით, ერთეულთა, წყვილთა და შერეულ წყვილთა ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ჯამდება. ერთეულთა თანრიგში ჩვენი ნაკრების ყველა წევრმა მიიღო „ჩათვლა“ (ჩასათვლელი ქულები პირველ 24 ადგილზე გასულ სპორტსმენებს ეძლევათ). ელისო მარგველაშვილმა „ა“ ჯგუფში ყველა მეტოქე დაამარცხა, საუკეთესოთა ოთხეულში მოხვდა და ახლა მედლებისთვის განაგრძობს ბრძოლას. მეხუთე ადგილისთვის იბრძვიან ნინო ხალილაშვილი და ვაჟთა (ვარშანიძე—ხაჩატურიანი) და შერეული (მარგველაშვილი—ვარშანიძე) წყვილები. დღეს და ხვალ გაიმართება ფინალური შეხვედრები.

ახალგაზრდები აქტიურობენ

მოსკოვის კრილატსკის ოლიმპიურ ტრეკზე გრძელდება ველოსიპედისტთა საკავშირო ჩემპიონატი. ყურადღების ცენტრში, ტრადიციულად, სპრინტერთა შეჯიბრებაა, სადაც გამოცდილი ოსტატების გვერდით ბევრი ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა ასპარეზობს.

ერთ-ერთმა მათგანმა სიურპრიზი უკვე შემოგვთავაზა. ეს გახლავთ 20 წლის რიგელი აგრის გილისი, რომელმაც 200 მეტრზე გიტში (სვლით) ვერცხლის მედალი მოიპოვა — 10,298. მან სულ მცირედით აჯობა მესამე ადგილზე გასულ თბილისელ ველოსიპედისტს ოთარ მჭედლიშვილს — 10,299. ჩემპიონი კი ამ სახეობაში მოსკოველი ნიკოლოზ კოვში გახდა — 10,123.

ახალგაზრდობის აქტიურობით აღინიშნა სპრინტერთა შეჯიბრების წინასწარი სერიებიც. მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლება ნ. კოვშთან, ს. იგნატოვთან და ო. მჭედლიშვილთან ერთად იმავე გილისმა, თბილისელმა ვ. ადამაშვილმა, აშხაბადელმა ვ. სულთანოვმა, უკრაინელებმა ი. ფედუნმა და ა. კირიჩენკომ მოიპოვეს.

მერე და მერე პრეტენდენტთა რიგები შეთხელდა. კოვშმა გილისი დაამარცხა, მჭედლიშვილმა — ადამაშვილი, იგნატოვმა — კირიჩენკო, ხოლო მარშანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა სტუდენტთა შორის სულთანოვმა — ფედუნი.

ასე გამოვლინდნენ სპრინტერთა რბოლის ნახევარფინალისტები — კოვში, მჭედლიშვილი, იგნატოვი და სულთანოვი.

როგორც ცნობილი გახდა, ჩემპიონის ოქროს მედალი სპრინტში ნიკოლოზ კოვშმა მოიპოვა. მეორე ადგილი ვლადიმერ სულთანოვმა დაიკავა. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა ოთარ მჭედლიშვილს.

ოთარ მჭედლიშვილი.

ბუშინ საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში დაიწყო მიხაღები გამოცდები. სურათზე, რომელიც ა. კოტორაშვილმა გადაიღო, თქვენ ხედავთ ტანმოვარჯიშეებს სპეციალობაში გამოცდისას.

ინფორმაცია

აშშ-ს ქალაქ სტრატონში მიმდინარე ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირის მეორე წრე მოულოდნელი შედეგით დამთავრდა. უიმბლდონის ტურნირში გამარჯვებული ავსტრალიელი პატ კეში დამარცხდა 17 წლის ამერიკელ ანდრე აგასისთან, რომელიც მსოფლიო კლასიფიკაციაში 90-ე ადგილზეა — 6:7, 6:7.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ᲭᲐᲑᲣᲙᲘᲗᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ — ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ.

ორიოდე სიტყვით შევჩერდებით გოგონათა ტურნირზე. წინასწარი თამაშების ბოლო ტურის წინ საქართველოს ნაკრებს საკმაოდ რთული სატურნირო მდგომარეობა ჰქონდა. ორი დამარცხების შემდეგ მასპინძლებს ნახევარფინალში გასასვლელად ცხრა ქულის სხვაობით უნდა მოეგოთ მატჩი პროფკავშირების პირველი გუნდისთვის. უდიდესი მონდომების, მაყურებელთა მხურვალე მხარდაჭერის შედეგად ჩვენმა გოგონებმა მატჩის უკანასკნელ წამებზე სასურველი შედეგით მიაღწიეს გამარჯვებას — 76:67. ნახევარფინალში მათ ძალზე ძნელი ბრძოლები მოელით. საქართველოს ნაკრების შეტოქე იქნება რსფსრ-ს განათლების სამინისტროს გუნდი.

ᲠᲔᲠᲢᲚᲘᲙᲐ

ᲕᲘᲜ ᲐᲚᲛᲖᲠᲓᲔᲚᲘ ᲮᲐᲠ!

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ მხოლოდ საპრიზო ადგილები, მედლები, ქულები და რეკორდები არ არის — ეს აზრი ნოთელ ზოლად გასდევს ჩვენს საქმიანობას. ამჯერად გვინდა სპორტის აღმზრდელობითი ფუნქციის უაღრესად საუურადღებო საკითხს შევეხოთ, მით უფრო, საქმე ეხება მოზარდებთან მუშაობას. ვინც პროფკავშირების მეორე გუნდთან ჩვენი ჭაბუკი კალათბურთელების მატჩს დაესწრო, დაგვეთანხმება, რომ ამ შეხვედრაში საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ვაჟა ჭკუასელი ყოველთვის ვერ იდგა აღმზრდელის სიმაღლეზე. ამ ახალგაზრდა მწვრთნელს პატივს სცემს სპორტული საზოგადოებრიობა, უდავოდ კარგი მუშაკია. უნარიანი, მონდომებული, აკი ანდეს კიდეც ესოდენ საპასუხისმგებლო პოსტი...

არაერთხელ თქმულა, რომ სპორტი აღზრდის სკოლაცაა, ვიმეორებთ, მით უმეტეს მოზარდებისთვის. სპორტული პაექრობისას, ცხადია, მოედანზე იქმნება ექსტრემალური სიტუაციები, დაძაბული მომენტები, ამ მძიმე გამოცდისას უჭირს როგორც თითოეულ სპორტსმენს, ისე მთლიანად გუნდს. ნლევანდელ თამაშებში ძირითადად მეშვიდე-მეცხრეკლასელები გამოდიან, რომლებსაც დიდი სატურნირო გამოცდილება არა აქვთ. ეს შეჯიბრებები მათთვის კარგი სკოლაა, მაგრამ რა უნდა ისწავლოს მოზარდმა, როცა მწვრთნელი ზომიერებას, სიდინჯეს კარგავს და აღსაზრდელს უდიერად, უხეშად მიმართავს თამაშის დროს თუ თამაშის შემდეგ? სამწუხაროა, რომ ცუდი, ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა იმ დღეს ჩვენი ჭაბუკი კალათბურთელების უფროსმა მწვრთნელმა. სიდინჯისა და თავდაჭერის მაგალითი ახალგაზრდა სპეციალისტებმა ჩვენი წამყვანი გუნდების მწვრთნელებისგან უნდა აიღონ.

არ გვინდა ამ ფაქტზე საუბარი ზემოთქმულით დავამთავროთ. გვეჩვენება, რომ ბოლო ხანებში ბავშვთა კალათბურთში მომხდარი იმ თვალსაჩინო ძვრების შემდეგ, რაც ნორჩ სპორტსმენთა მომზადების მწყობრ სისტემაში გადაიზარდა, ურთიერთობები არასასურველი დინებით მიემართება. ეს საგანგაშოა! ეტყობა, ზოგიერთ მწვრთნელსა და ხელმძღვანელს რაღაც ამბიციები გაუჩნდა, გაუყოჩდა, საერთო ინტერესებს და საქმეს გაემიჯნა, საქმეს, რომელშიც დიდი შრომა-რუდუნება და საერთო უურადღებაა ჩაქსოვილი.

ამ საკითხზეც გვმართებს დროული დაფიქრება.

ნანა ნებიერიძე.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ვიუწყებოდით, წყალში მხტომელთა შეჯიბრების პირველ დღეს, 3-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში გოგონათა წინასწარი ასპარეზობა საბაზო პროგრამით ს. კონდრაშოვამ მოიგო. მეორე იყო ანა ობორინა (ორივე — პროფკავშირები-I), მესამე — თბილისელი ნანა ნებიერიძე. მეორე დღეს 5-7,5-მეტრიან კოშკზე გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა ნებისმიერი პროგრამით. აქ პირველობა კვლავ კონდრაშოვამ შეინარჩუნა და გამარჯვებაც მან მოიპოვა — 390,90. ობორინა, რომელმაც გაცილებით სუსტად ასპარეზა, პრიზიორთა მიღმა დარჩა, ნებიერიძე კი უკეთესად გამოვიდა და ... ადგილი მოიპოვა — 381,45.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ

თითისტოლა ნანა ნებიერიძეს ჟურნალისტები შემოეხვივნენ. იგი პირველად პასუხობდა შეკითხვებზე.

—81-ე საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლე ვარ, — ამბობდა იგი,—ორი წელია, რაც წყალში ხტომაში ვვარჯიშობ. ლიუდმილა გუტიაკულოვა მაშეცადინებს. ასეთ დიდ შეჯიბრებაში პირველად გამოვედი და ცოტა მეშინოდა, მაგრამ მწვრთნელმა მითხრა, სხვებს ნუ უყურებ, როგორც შეგიძლია და რაც გასწავლე, ის გააკეთე და ყველაფერი კარგად იქნებაო. მეც ის გავაკეთე, რაც შემეძლო.

აი, ასე დაიწყო ნანა ნებიერიძის სპორტული ბიოგრაფია, რომელიც, იმედია, თანდათან საინტერესო გახდება.

გოგონათა შეჯიბრებაში მესამე იყო ნ. კადაკინა (პროფკავშირები-I) — 380,07.

ჩვენი გუნდის დანარჩენმა წევრებმა ო. ზაკატოვამ, ი. ჯაგანიანმა და ი. ფედოროვამ 31 მონაწილეს შორის შესაბამისად X, XVIII და XXIII ადგილები დაიკავეს.

გოგონათა გუნდურ პირველობაში დაწინაურდა (პროფკავშირები-I (770,97). მეორე ადგილზეა საქართველოს გუნდი (694,18), მესამეზე — სამხრეთის ზონის ნაკრები (665,82).

ბიჭებმა შეჯიბრება საბაზო პროგრამით 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში დაიწყეს, გადამწყვეტი შეხვედრები კი 3-მეტრიან ტრამპლინზე გაგრძელეს. აქ ჩემპიონი გახდა რსფსრ-ის განათლების სამინისტროს წარმომადგენელი ს. ზოტინი (520,62). მეორე ადგილი დაიკავა თანაგუნდელმა კ. შაპოვალოვმა (518,85), მესამე — დინამოელმა ა. უსტიმოვმა (517,56).

სამწუხაროდ, ჩვენი ბიჭები აქ სუსტად გამოვიდნენ. ყველაზე კარგად ვასილჩენკომ იასპარეზა—43 მონაწილეს შორის XIII ადგილი — 469,50. დანარჩენებმა: ციბირაშვილმა, ცანავამ, ჩიტაიამ და ხაგულაშვილმა შესაბამისად XXIII, XXVIII, XXXI, XXXIII ადგილები დაიკავეს. ბუნებრივია, ამან გუნდურ შედეგებზე საგრძნობი გავლენა იქონია და საქართველოს ნაკრებმა 1584,67 ქულით VI ადგილზე გადაინაცვლა, ლიდერობას კი კვლავ პროფკავშირების პირველი ნაკრები ინარჩუნებს (1780,83). მეორე ადგილზეა რსფსრ-ის განათლების სამინისტროს გუნდი (1651), მესამეზე — პროფკავშირები-II (1629,45).

წყალში მხტომელთა საერთო ფიზიკურ მომზადებაში და თეორიულ ცოდნაში გამოვლენილი პრიზიორები: ა. უსიმოვი („დინამო“), ს. ზოტინი (რსფსრ, განათლების სამინისტრო) და ო. ვასილჩენკო (საქართველო).

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲑᲣᲨᲘᲜ ისინი ალბათ არც იცნობდნენ ერთმანეთს, დღეს კი მეგობრები არიან. თბილისში გატარებული დღეები ამ ნორჩ წყალში მხტომელებს მთელი ცხოვრების მანძილზე სასიამოვნო მოგონებად გაჰყვებათ. მარცხნიდან — ნიკოლოზ ჩიტია (საქართველო), დავით მიქოიანი (სომხეთი), რომან მისინი (მოსკოვი), ალექსეი ვილანი (ლენინგრადი) და ანტონ გენდრიკსონი (ესტონეთი).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲙᲝᲠᲬᲔᲑᲖᲔ

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ორთაბრძოლების წინ ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს ნაკრების მწვრთნელს ᲒᲘᲕᲘ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔᲡ:

ᲒᲣᲜᲓᲨᲘ 10 ჩოგბურთელია — 5 გოგონა და 5 ბიჭი —, გვითხრა მან. ... ასპარეზობისთვის ნა... ... ... როგორც ტურნირი გვიჩვენებ... თავდაუზოგავ შრომას უშედეგოდ არ ჩაუვლია. ძაგანიამ ერთეულთა ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. გოგონებიდან ნახევარფინალის საგზური მიიღო ბერიძემ. ეს უკვე დიდ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. რაც შეეხება გუნდის დანარჩენ მონაწილეებს, ისინი ეცდებიან, საქართველოს ნაკრებს რაც შეიძლება მეტი ჩასათვლელი ქულა მოუტანონ. ძაგანიამ და ბერიძემ 23-23 ქულა შემატეს გუნდს.

● როგორ გამოდიან ქართველი ჩოგბურთელები წყვილთა ასპარეზობაში?

— წყვილთა ასპარეზობაში რვა უძლიერესთა შორის გავიდა ძაგანია — მღებროვის დუეტი, რომელიც საკმაოდ კარგად თამაშობს. ტყემალაძე — ოძელაშვილის წყვილი მე-9 ადგილისათვის იბრძოლებს, რომ ნაკრებს ქულები შემატონ.

● ტურნირის მონაწილეებიდან ვინ მიიქცია ყურადღება?

— ვაჟთა შორის კიეველმა მედვედევმა. ჩემი აზრით, უძლიერესის სახელს იგი მოიპოვებს. გოგონათა შეჯიბრებაში ძალიან კარგად გამოდის დონეცკელი სუხოვა. კარგად თამაშობენ ძაგანია, ბერიძე, გასპარიანი და ტომაშევიჩიც.

ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲡᲐᲯᲘᲜᲘᲕᲐᲜᲔ ᲒᲝᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ: შეჯიბრება კარგადაა ორგანიზებული, ტურნირს ემსახურება კვალიფიციურ მსაჯთა კორპუსი (13 საკავშირო კატეგორიის, 18 რესპუბლიკური კატეგორიისა და 24 პირველი კატეგორიის მსაჯი). ისინი თითქმის უშეცდომოდ სჯიან ბრძოლებს. ვსარგებლობ შემთხვევით და დიდი მადლობა მინდა ვუთხრა სპორტკომბინატ „დინამოს“ ხელმძღვანელებს, რომლებმაც ყველაფერი იღონეს ამ ტურნირის ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲡ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲛᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ, ᲛᲘᲠᲐᲑ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔᲛ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔᲛ, ᲗᲐᲛᲐᲖ ᲮᲐᲠᲐᲑᲐᲫᲔᲛ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲥᲘᲑᲚᲐᲫᲔᲛ ᲓᲐ ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐᲛ. ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲜᲐᲫᲘᲡᲐ.

ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲡᲞᲝᲠᲢᲨᲘ ბევრი რამ ხდება მოულოდნელი და იგი ალბათ ამით არის უფრო საინტერესო, თუმცა შემდგომი საგულდაგულო ანალიზი ამა თუ იმ გამარჯვების ლოგიკურობასაც დაადასტურებს ხოლმე.

ეტყობა, ლოგიკური საფუძველი აქვს თბილისელი მსროლელის დიმიტრი გევორქოვის გამარჯვებასაც სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებზე, თუმცა, თავისუფლად შეიძლება ეს წარმატება სიურპრიზადაც მივიჩნიოთ. უკვე რამდენი ხანია აცხადებენ საქართველოს ნაკრების მწვრთნელები: თუ ვისმე იმედი გვაქვს, ისევ პისტოლეტის მსროლელებისო. მომავალ გამარჯვებულს კონკრეტულად ალბათ ვერავინ დასახელებდა, მაგრამ ჩვენში ტყვიის სროლის განვითარების თანამედროვე ტენდენციამ ამ თამაშებზეც იჩინა თავი — საქართველოს ნაკრების წევრმა ჩემპიონობა მოიპოვა სწორედ პისტოლეტის სროლაში. დიმიტრომ ეშერის „დინამოს“ სასროლეთზე პნევმატური იარაღით (ᲗᲗ-3) შეჯიბრებაში მართლაც თავი ისახელა, 575 ქულა მოაგროვა და 7 ქულით გაუსწრო მეორე პრიზიორს. დიმიტრი ჟიროს (დასავლეთი ზონა). მართლაც დამაჯერებელი გამარჯვებაა!

გევორქოვის წარმატებამ ერთგვარად გაანელა ჩვენი გუნდის არასახარბიელო დებიუტით გამოწვეული უსიამოვნო შთაბეჭდილება. მაგალითად, ამავე დისციპლინაში (ᲗᲗ-3), თბილისელებმა ზურაბ კვირიკაშვილმა და გიორგი ქველიაშვილმა 22-ე და 23-ე ადგილები დაიკავეს (ორივეს — 552 ქულა).

მცირეკალიბრიანი სტანდარტული პისტოლეტის სროლაში ამ მეულში ისევ გევორქოვი იყო წინ: მე-10 ადგილი, 577 ქულა, კვირიკაშვილი მეთერთმეტე იყო (576), ხოლო ქველიაშვილი — ოცდამეოთხე (565).

გოგონათა შორის მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა სროლაში (ᲛᲨ-9), სადაც დინამოელმა ტატიანა პახომოვამ გაიმარჯვა (593 ქულა), მეთერთმეტე იყო თბილისელი ირინა შელნიკოვა — 580.

პროგრამის შემდეგ სახეობაში ჩვენი გუნდის წევრმა კვლავ მოიპოვა მედალი და კვლავ პისტოლეტის სროლაში — ᲛᲗ-5 ვარჯიშში ბათუმელმა დარეჯან დუმბაძემ მეორე ადგილი დაიკავა. თუმცა იოლად შეიძლებოდა ეს „ვერცხლი“ მას „ოქროზე“ გაეცვალა: დარეჯანსა და კიდევ ორ სპორტსმენს ქულათა თანაბარი რაოდენობა 578-578 დაუგროვდათ. ყველაფერი დამატებითმა სერიამ გადაწყვიტა, სადაც დინამოელმა ხელი ოსისმა გაიმარჯვა. დუმბაძეს, როგორც უკვე ვთქვით, ვერცხლის მედალი გადაეცა.

პისტოლეტის მსროლელთა წარმატების შემდეგ შაშხანით მოსაროლეებმაც გამოიღეს ხელი და აი: „გაქცეულ ტახზე“ სროლაში (ᲛᲨ-12) საკმაოდ მოულოდნელად ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ქუთაისელმა ლაშა კობულავიძემ — 578 ქულა. ქუთაისელმა ჭაბუკმა ამასთან სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა. ლაშას წარმატება ერთგვარად ამითაც საკვირველი და რა თქმა უნდა, სასიხარულოა, რომ ქუთაისში ამ სახეობისთვის საჭირო დანადგარ[illegible] [illegible] ... [illegible]

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲩᲥᲔᲛᲘ

ᲭᲐᲑᲣᲙᲔᲑᲘ. ᲗᲗ-4. 1. დ. გევორქოვი (თბილისი) — 575 ქულა; 2. ჟ. ჟირო (დასავლეთი ზონა) — 567; 3. ვ. ნიკიფოროვი (პროფკავშირები-I) — 567.

ᲛᲗ-5. 1. ო. გლუშკოვი (პროფკავშირები-I) — 585 ქულა; 2. ა. ხოლკევიჩი („დინამო“) — 584; 3. ა. ვრუბლევსკი (უკრაინა, განათლების სამინისტრო) — 584.

გოგონები. ᲛᲨ-9. 1. ტ. პახომოვა („დინამო“) — 593 ქულა; 2. ვ. ტარეე (დასავლეთი ზონა) — 587; 3. ი. გრებენიუკი (პროფკავშირები-I) — 585.

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ

ᲝᲠᲓᲦᲘᲐᲜᲘ შესვეხების შემდეგ ქუთაისში გრახლდა მოფარიკაკეთა შეჯიბრება. საერთო-ფიზიკურ და სპეციალურ მომზადებაში ნორმატივები ჩაბარეს ხალთ მოფარიკაკეებმა. საუკეთესო მომზადება გამოავლინა საქართველოს ნაკრების წევრმა თბილისელმა ზაზა ქორიძემ (მწვრთნელი გურამ ლორთქიფანიძე), რომელსაც პირველი ადგილი ხვდა წილად.

ენთუზიასტები

კაცი შრომობს, მაგრამ...

სოხუმელები სპორტული მოედნებით განებივრებული არიანო, ვერ ვიტყვით. საკმაოდ მჭიდრო დასახლების გამო აქ არ მოუნდომებიათ (თუ ვერ მოუხერხებიათ!) თუნდაც მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობა. მაგრამ არიან ისეთი ენთუზიასტები, რომლებიც მთელ თავისუფალ დროსაც და დანაზოგს სპორტული მოედნების მოწყობას ახმარენ. ერთი ასეთი კაცი სოხუმში, ნაგორნაიას ქუჩაზე, ნომერ 84 „ა“ სახლში ცხოვრობს. ნახევარ საუკუნეს მიტანებულმა დიმიტრი შიშმანიდმა, სპორტზე შეყვარებულმა კაცმა, პირველ ყოვლისა სპორტულად საკუთარი ოჯახი აქცია — ორი ვაჟიშვილი ფეხბურთელია, ქალიშვილი — ტარიოვარჯიშე.

შიშმანიდის სახლის მახლობლად, მთის ძირში ერთი დიდი მოედანია. ვინ იცის, დიმიტრი შიშმანიდის თაოსნობით რამდენი მიწა გაიტანეს აქედან, რომ მთის ფერდობზე მოედანი გაეკეთებინათ. მერე კი თითქმის მარტომ იმუშავა— მოაწყო ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნები და მავთულბადით შემოღობა ისინი. საკუთარი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე ტანვარჯიშული კედელი დგას, რგოლებისათვის რკინის ჯაჭვებია ჭერზე დამაგრებული...

— როგორც ხედავთ, ქალაქის გარეუბანში ვცხოვრობთ, თანაც ფერდობზე — გვითხრა დ. შიშმანიდმა. — ბავშვები ბლომად არიან ჩვენს უბანში. ყველას უყვარს სპორტი, შეჯიბრება. მეც გადავწყვიტე სათამაშო ადგილი გამოვძებნა მათთვის. უმრავლესობა მშობლებთან ერთად მოდის. უფროსები ჯერჯერობით ნაძვნარის ჩრდილიდან ადევნებენ თვალს ბავშვების თამაშს. მერე, ალბათ, თვითონაც მოსინჯავენ ძალას. სიგარეტის მოწევას ყველას ვუკრძალავ და, მართალი გითხრათ, არც შემიმჩნევია ახლა ჩვენთან ვინმე ეწეოდეს. სურვილი მაქვს პირველი სართული მთლიანად სპორტის მოყვარულებს დავუთმო სავარჯიშოდ. არა უშავს, ჩვენ მეორე სართულზეც დავეტევით. სხვათა შორის, მოვარჯიშეთათვის წყლის ელექტროგამაცხელებელი შევიძინე.

სპორტული მოედნის მოსაწყობად მთის ფერდობისთვის რომ შეუტევია, მაშინ მისი ოჯახი ქოხში ცხოვრობრდა თურმე. დასცინოდნენ: „სახლი არა გაქვთ და მოედანს აწყობო?!“

ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა.

ერთ დღეს ქალაქის კომკავშირის კომიტეტიდან მოაკითხეს, მერე მასზე წერილიც დაიწერა „კომსომოლსკაია პრავდაში“.

—მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, — გულდაწყვეტილი ამბობს ჩვენი მასპინძელი. — თანდათან ყველას დაავიწყდა, რომ აქ სპორტული მოედნებია, ყურადღებას არავინ გვაქცევს, მაგრამ ბავშვები მაინც თამაშობენ. ხედავთ, ამ შუადღეზე ათამდე ბავშვი თამაშობს, საღამოს კი რამდენი შეიკრიბება... სხვა უბნებიდანაც მოდიან. დილიდან საღამომდე თამაშობენ, ბალახის საფარი მთლიანად გაქრა.

დიახ, მოედანს მზრუნველი ხელი სჭირდება. ფიზკულტურისა და სპორტის აქაურმა მუშაკებმა კი მეგზურობაც ვერ გაუწიეს ამ მოედნების დასათვალიერებლად ჩამოსულთ — არც იცოდნენ ასეთი ენთუზიასტი თუ ჰყავდათ.

კაცმა იშრომა, საკუთარი გაიღო, დათმო, მაგრამ მხარი არ დაუჭირეს. მანაც, სამართლიანად გაწყენებულმა, ზემდგომ ორგანოებს მიმართა დახმარებისთვის.

დ. შიშმანიდი აუღელვებლად ვერ ლაპარაკობს ფეხბურთზე. ფეხბურთში რომ მწვავე კრიზისს განვიცდით, სულ ამის ბრალია, ბავშვთ. ფეხბურთს რომ არ ვაქცევთ ყურადღებას, არც მსჯობა გვივარგაო.

— ნუთუ სპორტული ჯგუფები არ უნდა მარაგდებოდეს ფორმითა და ბურთებით. მათ შესაძენად მშობლები რატომ უნდა იხდიდნენ ფულს? — ცხარობს იგი.

დიმიტრიმ დავით ყიფიანის პორტრეტზე მიგვითითა და თქვა — ფეხბურთის კლუბის გახსნას ვაპირებო.

დ. შიშმანიდის მსგავსნი ყოველთვის სანლოით საძებარნი არიან. ასეთ ენთუზიასტებს ქალაქის ხელმძღვანელთა, ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურთა მხარში ამოდგომა, დახმარება, რჩევის მიცემა სჭირდებათ. განა სპორტული მოედნის გაფორმების, უბნების პირველობის ჩატარებას, განათების მოწყობას ერთი კაცი გაწვდება?

იური ბალდავა,
სპორტის ოსტატი.

პიონერული ზაფხული-87

თვითდინებაზე მიშვებული საქმე

ზაფხულის არდადეგებს მოსწავლეთა ნაწილი თბილისის პიონერთა ბანაკებში ატარებს. იმისათვის, რომ ბავშვების დასვენება უფრო ხალისიანი და შინაარსიანი ყოფილიყო, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და თბილისის სპორტკომიტეტმა ადრევე შეიმუშავეს პიონერული ბანაკების სპარტაკიადის ჩატარების გეგმა. სპორტული შეჯიბრებები სამ ეტაპად უნდა გამართულიყო — საბანაკო, სარაიონო და საქალაქო. „ფინალურ ასპარეზობას ჩვენი საუკეთესო სპორტული ბაზები მოემსახურებოდნენ. სამწუხაროდ, სპარტაკიადის I და II ეტაპების შეჯიბრებები არ ჩატარებულა. გაიმართა... მხოლოდ ფინალური ასპარეზობები, საერთო პირველი ადგილი დაიკავა ოქტომბრის რაიონის გუნდმა; მეორე ადგილზე გავიდნენ 26 კომისრის, ხოლო მესამეზე — კალინინის რაიონის პიონერები.

სპარტაკიადას ყველა სერიოზულად როდი მოეკიდა. პირველი მაისის, ორჯონიკიძის, საბურთალოს, ლენინისა და საქარხნო რაიონების პიონერთა გუნდებმა ორ-სამ და ოთხ სახეობაში არ გამოიყვანეს გუნდები. გარდა ამისა მათ საზეიმო გახსნის აღლუმსაც აარიდეს თავი. ამან ცხადია, ელფერი დაუკარგა ზეიმს.

პიონერთა ბანაკების ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების შემმოწმებელმა კომისიამ გამოარკვია, რომ უმეტეს ბანაკებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა თვითდინებაზეა მიშვებული. ბანაკების ხელმძღვანელობა, რაიონების კომკავშირისა და სპორტის კომიტეტები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ პიონერთა გაჯანსაღების საქმეს. მაგალითად, უნდა შექმნილიყო ცურვის შემსწავლელი ჯგუფებიც, მაგრამ ბანაკების — „გაზაფხულის“, „მზიურის“ (კალინინის რაიონი) და „შევარდენის“ გარდა ამისათვის თავი არავის შეუწუხებია. არ იქმნებოდა ჩატარებულ ღონისძიებათა დოკუმენტაცია. ბანაკების დიდ ნაწილს აკლია სპორტული ინვენტარი.

თბილისის სპორტკომიტეტმა კოლეგიაზე განიხილა ეს საკითხი და დედაქალაქის პიონერთა ბანაკებში ფიზკულტურულ-გამჯანსაღებ ელ ი მუშაობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა.

გივი ჩხარტიშვილი,
თბილისის სპორტკომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი.

ფეხბურთი: ინგლისი—„დანარჩენი სამყარო“

ეს იდეა კარგა ხნის წინ წარმოიშვა: ინგლისი თანამედროვე ფეხბურთის სამშობლოა, რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ, რომ ფეხბურთს ძველ ჩინეთშიც თამაშობდნენ და რომის ლეგიონერებიც დიდად გატაცებული იყვნენ ტყავის ბურთის დევნით. ეჭვს არ იწვევს, რომ ის ფეხბურთი, რომელიც დღეს მთელს პლანეტაზეა მოდებული, დიდ ბრიტანეთში იშვა, სწორედ აქ ჩამოყალიბდა 1863 წელს საფეხბურთო კოდექსის ის ძირითადი პუნქტები, რომლებითაც ჩვენ ახლაც ვხელმძღვანელობთ.

ინგლისის საფეხბურთო ლიგის შექმნიდან 100 წელი გავიდა, თვით ინგლისელები და მთელი დანარჩენი საფეხბურთო სამყაროც მზად არიან ზეიმით აღნიშნონ ეს ღირსსახსოვარი დღე, სადღესასწაულო პროგრამის მთავარი ნომერი კი ინგლისის ეროვნული გუნდის მატჩია დანარჩენი მსოფლიოს ნაკრებთან. ეს კი ნიშნავს, რომ თამაშში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული არიან ყველანი, ვინც კი ამჟამად მსოფლიოში საუკეთესოდ არის აღიარებული. შეიძლება რომელიმე ფეხბურთელი რაიმე მიზეზით გამორჩეს მატჩს. მაგრამ ეს ამ ზეიმის ორგანიზატორთა ბრალი არ იქნება, მათ ინგლისის დედაქალაქში მიიწვიეს ყველანი, ვინც კი უპირველესი პრეტენზიისა

ა.ე. რომ. დღეს ლონდონი 100 ათასიანი „უემბლის“ სტადიონზე შედგება ეს მეტად ღირსშესანიშნავი მატჩი, საკავშირო ცენტრალურ ტელევიზიას დაგეგმილი აქვს მისი გადაცემა, 8 საათიდან ცისფერ ეკრანებზე ვნახავთ თანამედროვე საერთაშორისო ფეხბურთის გამორჩენილ ვირტუოზებს.

საუბილეო მატჩის ორგანიზატორებს განზრახული ჰქონდათ თამაშში მონაწილეობისთვის მიეწვიათ თვით ფეხბურთის მეფე, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ბრაზილიელი პელე. მაგრამ ეს, ალბათ, სიმბოლური ჟესტი იქნება, პელე ახლა 47 წლისაა და საეჭვოა, რომ მასზე ორჯერ უფრო უმცროსი ფეხბურთელების ტეპასა და ენერგიას გაუძლოს. ჟურნალისტებთან საუბარში კი მან განაცხადა:

— ჩემთვის დიდი პატივია ასეთ სპრესტიჟო მატჩში მიწვევა. ხანდაზმული კაცი ვარ, რით უნდა შევედარო ახალგაზრდებს? ეტყობა ძალიან გამიჭირდება.

და, რაღა თქმა უნდა, დანარჩენი სამყაროს ნაკრებში მიიწვიეს 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონი და სამყაროს ამჟამინდელი საუკეთესო ფეხბურთელი არგენტინელი დიეგო მარადონა. თუმცა; მარადონამ „უემბლიზე“ თავისი გამოსვლა ძალზე ძვირად დაიფასა, მაგრამ ინგლისის ლიგის საიუბილეო კომიტეტს ახლა სიძვირეები არ აშინებს, იგი მზადაა პელესაც და მარადონასაც გადუხადოს ყველაფერი, რასაც ისინი მოითხოვენ, ოღონდ კი ეს მატჩი უმაღლეს დონეზე ჩატარდეს.

ინგლისის ნაკრები, ასე თუ ისე, სტაბილური გუნდია და მუდმივი ხელმძღვანელობაც ჰყავს, მსოფლიო ნაკრების შექმნა ერთი მატჩისთვის კი ძალზე ძნელი საქმეა. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ეს რთული მისია ცნობილ ინგლისელ მწვრთნელს ტერი ვენერბლსს დააკალა, რომელიც ახლა „ბარსელონაში“ საქმიანობს.

ტ. ვენერბლსმა მიიწვია „ბარსელონის“ სამი მოთამაშე, ბერეთვე, სამი ფეხბურთელი სსრ კავშირიდან — მეკარე რინატ დასაევი, ნახევარმცველი — ალექსანდრე ბუბნოვი, თავდამსხმელი — იგორ ბელანოვი.

მსოფლიო ნაკრების წინასწარ განაცხადში მწვრთნელმა შეიყვანა:

მეკარეები: დასაევი (მოსკოვის „სპარტაკი“ და სსრ კავშირის ნაკრები), სუბისარეტა („ბარსელონა“ და ესპანეთის ნაკრები).

დაცვა: ჭოსიმარი („ბოტაფოგო“ და ბრაზილიის ნაკრები), სელსუ („პორტო“ და პორტუგალიის ნაკრები), ბატჩერი („გლასგო რეინჯერსი“ და შოტლანდიის ნაკრები), ბერტოლდი (იტალიის „ვერონა“ და გფრ-ის ნაკრები), ალბერტო („ბარსელონა“ და ესპანეთის ნაკრები).

ნახევარდაცვა: ჰოუსენი (იტალიის „ფიორენტინა“ და შვეიცის ნაკრები), პლატინი (საფრანგეთი), ზავაროვი (კიევის „დინამო“ და სსრ კავშირის ნაკრები), ბანი („ნაპოლი“ და იტალიის ნაკრები), დეტარი (გფრ-ის „ინტრაჰტი“ და უნგრეთის ნაკრები).

თავდასხმა: ბელანოვი (კიევის „დინამო“ და სსრ კავშირის ნაკრები), ლინეკერი („ბარსელონა“ და ინგლისის ნაკრები), ფუტრე (მადრიდის „ატლეტიკო“ და პორტუგალიის ნაკრები), ელკაერი (იტალიის „ვერონა“ და დანიის ნაკრები), მარადონა (იტალიის „ნაპოლი“ და არგენტინის ნაკრები).

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ბობი რობსონი თავისი გუნდის შემადგენლობას ბოლო დრომდე საიდუმლოდ ინახავდა, თუმცა, პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ნაკრებში შეიყვანს როგორც ინგლისელ, ისე შოტლანდიელ, ველსელ და ირლანდიელ ფეხბურთელებს, რომლებიც ინგლისის პროფესიულ კლუბებში გამოდიან.

დიეგო მარადონამ ლაღი თანხმობა ისურვა 8 აგვისტოს მატჩში მონაწილეობისთვის, მაგრამ მას შემდგომში ოფიციალური თანხმობა ოღარ გამოუგზავნია თამაშში მონაწილეობის თაობაზე. მსოფლიო საუკეთესო ფეხბურთელმა 120 ათასი დოლარი მოითხოვა, მაგრამ, ბოლო ხანებამდე იგი მაინც ჩუმად იყო. შესაძლოა ეს ინტრიგა საერთაშორისო საფეხბურთო წრეების გასაღიზიანებლადაც დაგეგმა მსოფლიო ჩემპიონთა კაპიტანმა.

თვით ტ. ვენერბლსი ბოლო დღემდე აცხადებდა: ძალიან მინდა მარადონამ რომ მონაწილეობა მიიღოს ფეხბურთის ამ დღესასწაულში. მწვრთნელი არგენტინელ ფეხბურთელს ნიმუშად უყენებს ფრანგი მიშელ პლატინის საქციელს: პლატინმ უკვე დაამთავრა თავისი სპორტული კარიერა, მაგრამ მზადაა ითამაშოს ამ ფრიად ორიგინალურ მატჩში.

ფეხბურთის მოყვარულებს, ალბათ, ახლოთ ინგლისელ ფეხბურთელ-



ინგლისელ ჩემპიონებს 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მატჩი, რომელიც 1963 წლის 23 ოქტომბერს შედგა იმავე „უემბლიზე“ (ახლა ლიგის იუბილეა). მაშინ მსოფლიო ნაკრებში ითამაშა გამოჩენილმა საბჭოთა მეკარემ ლევ იაშინმა. საერთოდ, ამგვარი სადღესასწაულო ინტერნაციონალური ნაკრები გუნდები სხვა დროსაც ხშირად შექმნილა, მათში მონაწილეობა მიუღიათ ფეხბურთის ვირტუოზებს პელეს, დი სტეფანოს, პუშკაშს, ბ. ბერლინს, ეუსებიოს, �პას, ლოეს, ზელერს, კრუიფს, ბეკენბაუერს, ფაკეტის, რივერას, ჭაირზინოს და სხვებს. ასეთივე მატჩები გაიმართა რიო-დე-ჟანეიროში, 1971 წლის 27 მაისს მოსკოვში, „ლუჟნიკის“ სტადიონზე, ლევ იაშინის გაცილების დღეს. სხვადასხვა საერთაშორისო ნაკრებ გუნდებში ლ. იაშინის გარდა მონაწილეობა მიუღიათ მოსკოველებს ალბერტ შესტერნიოვს, ვალერი ვორონინს, კიეველ ოლეგ ბლოხინს, თბილისელებს სლავა მეტრეველსა და დავით ყიფიანს, მსოფლიო ნაკრებში მიწვეული იყო უფროსი მიხეილ მესხიც.

ალბათ, ყველას გახსოვთ, რომ შარშან ამერიკის ქალაქ პასადენში შედგა ამერიკისა და მსოფლიოს ნაკრების მატჩი, რომლის შემოსავალი მთლიანად გადაირიცხა მექსიკაში მიწისძვრისგან დაზარალებულ ბავშვთა დახმარების ფონდში.



და ყოველთვის, როცა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები გამოდიან მინდორზე, ეს ფრიად საინტერესო, არაორდინალური, დაუვიწყარი სანახაობაა.

ლონდონიდან მოვიდა დღევანდელ დიდ მატჩთან დაკავშირებული ახალი ცნობები. ტ. ვენერბლსის მიერ შედგენილ მსოფლიო ვარსკვლავთა ნაკრებში გამოვლენ: მეკარეები რ. დასაევი და ა. სუბისარეტა, მცველები — ჭოსიმარი, სელსუ, გ. ჰოუსენი, ხ. ალბერტი, ნახევარდაცვაში — მ. პლატინი, ს. ბანი, ტ. ბერტოლდი, ხოლო თავდასხმაში — დ. მარადონა, ჰ. ლინეკერი, ჰ. ელკაერი, ბ. ფუტრე, ლ. დეტარი, ი. ბელანოვი და ა. ზავაროვი. ნაკრები დაკომპლექტებულია არგენტინის, ინგლისის, ბრაზილიის, დანიის, იტალიის, ესპანეთის, უნგრეთის, პორტუგალიის, საფრანგეთის, სსრ კავშირის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და შვეიცის საუკეთესო ფეხბურთელებით.

ინგლისელთა მწვრთნელმა ბ. რობსონმა თავის ნაკრებში შეიყვანა ს. რეგისი, ბ. ბერლინი, ნ. უაიტსაიდი, ჯ. ალენი, ბ. ნევინი, ლ. ბრეიდი, ნ. უები, ბ. რობსონი, ჯ. სენსომი, ბ. ბაკერატი, რ. გოჰი, ს. ოგრიზოვიჩი და ბ. შილტონი.

„საუკუნის მატჩს“ იმსჯელებს ცნობილი არბიტრი ჯ. ჰაკეტი, რომელსაც წარსულში საკუთრივ მიუღია მონაწილეობა ამგვარი „ინტერნაციონალური“ ნაკრები გუნდების მატჩებში და კარგად იცის, როგორ გაართვას თავი სიძნელეებს.

როგორც ცნობილი გახდა, პელე ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ მატჩში, დიეგო მარადონამ კი, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, თანხმობა განაცხადა მიწვევაზე და ლონდონს ჩავიდა. ეს ფეხბურთელი მიიღებს თავის 100 ათას გირვანქა სტერლინგს. მარადონა დღევანდელი მატჩის ყველაზე კოლორიტული, ყველაზე „მაცდუნებელი“ ფიგურაა მაყურებლისათვის.

დაბოლოს — მსოფლიო ნაკრების მონაწილე საბჭოთა ფეხბურთელები ამჟამად უეჭოვთში იმყოფებიან. ლონდონში ესპანეთიდან ჩავიდა რ. დასაევი, ხოლო ამსტერდამიდან — ი. ბელანოვი და ა. ზავაროვი.

ზღვაზე სრული შეკრება

Советский спорт

თბილისის წყალსაცავზე, რომელიც ოქტომბრიდან ქალაქის ფარგლებშია მოქცეული და აქაურებმა „ზღვა“ შეარქვეს, გაბატონებულია ჭარის ორი დინება: აღმოსავლეთისა — „ბაქოელი“ და ჩრდილო-დასავლეთისა — „ყაზბეგი“. ისინი მონაცვლეობით ჭრიან — ბუნებრივი ბრძოლა მტკაცედაა დაცული. მიუხედავად ამისა, ნებისმიერი თბილისელი გეტყვით, რომ უკვე რამდენიმე წელიწადია ზღვაზე სრული შეკრება ბატონობს.

და ეს სულაც არ გაჰკვირვთ გეოგრაფიული ფენომენი, განუკითხობის ფენომენი უფრო. პირდაპირ აღმაშფოთებელია, როცა ჩვენს ხელთ არსებულ სიმდიდრეს ვერ ვიყენებთ.

თუმცა, მოდით, ზაფხულის ამინდში ვეწვიოთ წყალსაცავს, როცა გათანგული ქალაქი ხვატშია გახვეული და ყველა სიგრილისაკენ მიიწევს. და აქვე წაიწყებით პრობლემას. ვთქვათ, ცხოვრობთ ვარკეთილის ახალ დასახლებაში, რომელიც თბილისის აღმოსავლეთ ნაწილში ზღვასთან სულ ახლოსაა განლაგებული. ტრანსპორტის ორი სახეობა მაინც უნდა გამოიცვალოთ, დასავლეთისაკენ გადაკვეთოთ მთელი ქალაქი, რაზეც უამრავი დრო დაგეკარგებათ, რომ მეორე მიკრორაიონამდე — თემქამდე მიხვიდეთ, რომელიც ზღვას აკრავს. დამერწმუნეთ, ქალაქში, რომელშიც ასე შრვადე დგას სატრანსპორტო საკითხი, ბევრი უარს იტყვის ასეთ ვოიაჟზე შეა ზაფხულში. დავუშვათ, ასეთი გაბედული კაცი მაინც აღმოჩნდა. რა ელის მას წყალსაცავზე თემქის დასახლებასთან? პირდაპირ ვიტყვით, რომ საკმაოდ ულამაზო სურათი დახვდება, რაც დასვენება-გართობის განწყობილებას წაუხდენს. მოუვლელი ნაპირი, ერთადერთი „ნავსაყუდლით“, არც „ქოლგები“, არც სხვა საპლაჟო ატრიბუტი. გამქირავებელ პუნქტებზე, საპრონ ინვენტარსა და სპორტულ მოედნებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მიუხედავად ასეთი საგანგებო მდგომარეობისა, პლაჟზე ყოველთვის ბლომადაა ხალხი. ეს გასაგებიცაა. თერმომეტრის სიმდიდრე 30 გრადუსზე მეტს უნკვნეს. ამოდიან შეგობრები, ოჯახები, ერთ-ერთ დასასვენებელ ვთხოვ გამიზარის თავისი შთაბეჭდილება.

ე. ბარბაქაძე — თბილისის ერთ-ერთი საპროექტო ინსტიტუტის ინჟინერი.

— შეუღლესთან და ბიჭთან ერთად ამოვედი. წყლის შეგებლების შავ ზღვაზე გატარება ვერ მოვახერხე. ამიტომაც კვირადღეობით თბილისის ზღვაზე დასვენება გადაწყვიტე. მაგრამ თავად ხედავთ, რა დასვენებაც შეიძლება აქ, განსაკუთრებით ბავშვებთან ერთად. არავითარი საშუალება, გასახდელი ჯიბურებიც კი არ არის. არც ის უნდა გამჭირვებოდათ, რომ სათანადო ადგილი გამოეტანათ ბავშვთა საკუთარ-ლაისათვის, რომელსაც ბადით შემოლობავდნენ. მაგრამ ამაზე დღემდე არავის უფიქრია. აღმათ ფიქრობენ, რომ ბავშვთა პლაჟი ზედმეტი ფუფუნება იქნება თბილისელი ნორნებისათვის.

ასეთივე აზრისაა მასწავლებელი დ. ლაზარიანი, რომელიც კვირა დღეს შეგობრებთან ერთად დასასვენებლად ეწვია ზღვას.

— რა ხდება, არ ვიცი, — თქვა მან, სპორტულ მოედნებს ვინ ჩიგვის, წყლის ნაპირი საკმაოა ბოლის ნაშესურეებით. ფრენბურთის თამაშის საშუალებაც კი არ არის. ნაგთი საერთობა? ესეც პრობლემაა — ინვენტარი არ ჰყოფნით და საათობით უნდა იდგე რიგში. ცოდაა კვების საკითხიც. ერთადერთ სამაგვო კაფეში გამუდმებით რიგი და ჭეჭეა. არც ასორტიმენტი გამოირჩევა მრავალფეროვნებით. სამაგიეროდ მზესუმზირის გამუდმეულები არ აკლია ნაპირს. საკითხია, პაპანაქებაში რა უფრო ესიამოვნება კაცს — ცივი წყენი, გემრიელი ბეტერბროდი ან ნაყინი თუ მზესუმზირას კვნეტ? მით უმეტეს, რომ იგი უფრო გაწყურებს, ერთადერთი სასმელი წყლის მაძრევანი კი ყოველთვის დაშრალია...

დასარწმუნებლად, ვისაც გაუკვირდეს, ო

. ნაკლოვანებები აღინიშნეს. მათ შორის ვერ აღმოვაჩინე ადამიანი, რომ კმაყოფილი იყოს კვირა დღით წყალსაცავზე დასვენებით.

— რა მოხდა, — გავიფიქრე, — იქნებ ვცდეთ წოდებულ საქალაქო პლაჟზე გამამართლოს?

პლაჟს საქალაქო კი ჰქვია, მაგრამ იქამდე მიდწევა ასევე დიდი პრობლემაა. ერთადერთი ავტობუსი ქალაქიდან ერთსაათიანი ინტერვალით დადის. ერთი სიტყვით, „მოთმინებითა ჩემითა“ მივაღწიე პლაჟამდე.

ხალხი აქ შედარებით ნაკლებია. ეს არცაა გასაკვირი, ყველას ხომ არა ჰყავს საკუთარი მანქანა. ყველაფერი, რაც აქ ვნახე, მარსის პეიზაჟს მაგონებდა: ჩამოფხრეწილი ქოლგები, შემოხიდული და დაყრილი სილა. მართალია, მახლობლად არის კალათბურთისა და მინიფეხბურთის მოედნები. ეს არის და ეს. ისიც საკმაოდ მოუვლელია. არის კაფე „იალქანი“, სადაც ყავას, წვენსა და ბეტერბროდს შეშოგთავაზებენ, მაგრამ გული არ მიგიგავთ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თქვენთვის არავის სცალია.

— ეს მართლაც ასეა, — თქვა თბილისის იახტკლუბის დირექტორმა ფელიქს გაგლოევმა, რომელსაც გულთან ახლოს მიაქვს წყალსაცავთან დაკავშირებული ყველა პრობლემა.

— აქ ყველა პირობაა როგორც ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი დასვენებისათვის, ისე საწყლოსნო სპორტის განვითარებისთვის, მაგრამ საქმე დაპირებებს, საუწყებათაშორისო შეღლა და კინკლაობას არ სცილდება. ავიღოთ ჩვენი იახტკლუბი, რომელიც წელს დაარსების 25 წლისთავს აღნიშნავს. ამ ხნის განმავლობაში ერთადერთი საერთაშორისო კლასის სპორტსმენი აღვზარდეთ, მეტიც შეგვეძლო, მაგრამ არა გვაქვს სათანადო მატერიალური ბაზა. შეიძლება თქვას, დღეს-დღეობით უსუსურად გამოვიყურებით. ავიღოთ თუნდაც ვინდსერფინგი. შეიძლებოდა იგი სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში გამოგვეყენებინა, მაგრამ ყველაფერ ამაზე არავინ ფიქრობს და არც უახლეს დროში ველით, რომ რაიმე გამოსწორდეს.

ნანახსა და გაგონილს ამ დასკვნამდე მიჰყავხარ: მთავარი მიზეზი ის არის, რომ წყალსაცავზე ერთიანი ხელმძღვანელის ხელი არ ოგრძნობა, ხელმძღვანელისა, რომელიც მთლიანად აგებდა პასუხს იმაზე, რაც ზღვაზე და მის ნაპირზე ხდება. საკირაო ჰკვიანი, გერგილიანი კაცი, რომელიც შემოსავლითაც იქნება დაინტერესებული. შემოსავლის მიღება კი შეიძლება, თუ საქმე გონივრულად აეწყობა.

ბ. ურიბაშვილი,
„სოვეტსკი სპორტი“ 5. VIII
თბილისი.

ფეხით—რაჭისკენ

საქართველოს გეოლოგთა თერმული წყლების ლრმა ბურღვის საძიებო გეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომელმა, გეოფიზიკოსმა რევაზ პეტრიაშვილმა გადაწყვიტა თავისი დაბადების 60 წლისთავი ორიგინალურად აღნიშნოს. მან განიზრახა წინასწართა ნაკვალევით თბილისიდან რაჭაში ფეხით ავიდეს და ეს ლაშქრობა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავს მიუძღვნას.

„სტარტის ადგილზე“ — თბილისიდან გასასვლელ გზაზე, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის მონუმენტთან რ. პეტრიაშვილის ახლობლებთან და ნაცნობ-მეგობრებთან ერთად ჩვენც მივედით.

— რაჭაში ჩემთან ერთად ფეხით მოდის ჩემი ძმისშვილი სოფელ ასურეთის საშუალო სკოლის მოსწავლე თამაზ პეტრიაშვილი. მინდა ეს კარგი ტრადიცია ახალგაზრდობამ განაგრძოს. ათი წლის წინათ ეს გზა მარტოდ-მარტომ გავიარე. დღეში საშუალოდ 40 კილომეტრს გავდიოდი. ახლაც ამდენივეს გავლას ვაპირებთ. ნიკორწმინდაში ავალთ, იქიდან კი — სოფელ კაჩეთში. ლაშქრობას ექვს-შვიდ დღეში დავამთავრებთ, — გვითხრა რევაზ პეტრიაშვილმა.

რევაზ და თამაზ პეტრიაშვილებს გზა დაეულოცეთ და მშვიდობით მგზავრობა ვუსურვეთ.

ავთანდილ ჯუვიშელი.

• • •

ხურათზე: რევაზ და თამაზ პეტრიაშვილები რაჭისკენ მიმავალ გზაზე შეხვედრისას.



ფერგანა. 6 აგვისტო. აქ გიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩი ადგილმრივ „ნეფტიანიკასა“ (II ლიგა) და ვილნიუსის „ყალგირისს“ შორის.

მატჩი მოიგო „ყალგირისმა“ — 3:0, პირველი შეხვედრა ასევე ვილნიუსელთა გამარჯვებით დამთავრდა — 8:3.

მერვედფინალში „ყალგირისი“ შეხვდება ტაშკენტის „ფახთაქორს“. მათი პირველი მატჩი შედგება ტაშკენტში 16 აგვისტოს, ხოლო საპასუხო — 17 სექტემბერს ვილნიუსში.

რეგბი

სპორტის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ, რომ თბილისის „ლოკომოტივის“ ნაცვლად საკავშირო ჩემპიონატში სახელდახელოდ შეკრებილი ახალი გუნდი „ელმავალი“ გამოდის. ეს გუნდი ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე ჩაება ჩემპიონატში და უმაღლეს ლიგაში წინამორბედი გუნდის ადგილს შენარჩუნება დაისახა მიზნად.

ამ გუნდმა უკვე ექვსი მატჩი გამართა და ყველა წაგო. ბოლო ორ ტურში მას ჯერ ერთ-ერთმა აუტსაიდერმა, ლენინგრადის „პრიმორეცმა“ აჯობა — 33:6 (თბილისელებმა ეს შეხვედრა სტუმრად გამართეს), გუშინწინ კი ქუთაისის „მშენებელმა“ — 39:18 (თბილისში). თუ მარცხი ლენინგრადში მოულოდნელი და გამაწბილებელი იყო, ქუთაისელებთან შეხვედრაზე ამას ვერ ვიტყვით: ჩემპიონატის ლიდერთან გამარჯვებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, რადგან დღესდღეობით „მშენებელი“ აღმავლობას განიცდის, ჰყავს სტაბილური შემადგენლობა, რომელშიც ახალგაზრდები და ვეტერანები კარგად არიან ერთმანეთთან შეთანხმებული. ამიტომაც „მშენებლისა“ და „ელმავალის“ თამაში სტუმრების აშკარა უპირატესობით წარიმართა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი შვანგირაძემ, ნემსიწვერიძემ, ვეტერანებმა — გიორგაძემ და ლიპარტელიანმა. ქუთაისელთა ლიდერები ზედიზედ არღვევდნენ თბილისელთა დაცვის ხაზს, ერთმანეთსაც კარგად უბამდნენ მხარს და თბილისელთა მცველის ძაგანელის კარგი თამაშის მიუხედავად, განუწყვეტლივ გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდნენ. მასპინძლებს, რომლებმაც ორიოდე ხეირიანი შეტევისა და შეყლაშვილის მეტ შეგდებული საჯარიმოების გარდ ღირსშესანიშნავი ვერაფერი მოიმოქმედეს. ასე რომ, ქუთაისელთა გამარჯვება კანონზომიერიც იყო და საკმაოდ დამაჯერებელიც.

ციხეერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 8 აგვისტო. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **10.20 (2);** ფიზკულტურელის საკვშირო დღის აღსანიშნავად: დოკუმენტური ფილმები — **11.30 (2);** ფეხბურთი: ინგლისის ნაკრები — მსოფლიოს ნაკრები (გადაცემა ინგლისიდან) — **20.00 (1).**

საქართველოს ტელევიზია. 8 აგვისტო. ფეხბურთი: ინგლისის ნაკრები — მსოფლიოს ნაკრები (გადაცემა ინგლისიდან) — **20.00.**

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

არასამეას ორმაგი საზრუნავი

როგორც გაუწყეთ, დიდოსტატმა ნანა იოსელიანმა უკვე მოიპოვა პრეტენდენტთა მატჩების ერთ-ერთი საგზური (სამიდან). ახლა ნანა ტურნირში გამარჯვებისთვის იბრძვის. მიზნის მისაღწევად მას ბოლო ტურში უაიმიც ჰყოფნის დასავლეთგერმანელ მოჭადრაკესთან ბეიტა ტრაბერდტთან შეხვედრაში. ქუთეკან არახამიამ კი, გარდა იმისა, რომ ბოლო, XVII ტურში აუცილებლად უნდა მიაღწიოს გამარჯვებას უნგრელ მარია ივანკასთან, იუგოსლავიელ ზორიცა ნიკოლინსა და ფრანგ ჟელია ლებელ-არიასსაც უნდა უქომაგოს, რადგან სწორედ მათ ვთამაშება ლიდია სემიონოვა (ლებელ-არიასთან პარტია გადადებულია). თუ ამ შეხვედრებში კოველმა დიდოსტატმა ნახევარი ქულა დაკარგა, არახამიამ კი გაიმარჯვა, მათ თანაბარი ქულები ექნებათ და მეორე საგზურის ბედს არახამიასა და სემიონოვას დამატებითი მატჩი გაარკვევ

M

ერთნი ავთავრდებენ, მეორენი...

უნგრეთიდა და იუგოსლავიის ქალაქებში სირაკსა და ზაგრებში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა საზონათშორისო ტურნირები. სირაკში შეჯიბრების დამთავრებამდე 3 ტური დარჩა. პრეტენდენტთა სამი საგზურის მოპოვების კანდიდატები არიან ისლანდიელი იოჰან ჰარტარსონი — 10,5 ქულა, ვალერი სალოვი — 10, ინგლისელი ჯონათან ნანი — 9,5 (1), ლაიმ პორტიში — 9,5, ალექსანდრე ბელიავსკი — 9.

ზაგრების ტურნირის ფავორიტებზე კი ჯერ ნაადრევია საუბარი, აქ მხოლოდ 4 ტური გათამაშდა. 3-3 ქულა მოაგროვეს უნგრელმა იოანეს პინტერმა და ფილიპინელმა ეუგენიო ტორეგ. 2,5-2,5 ქულა აქვთ იუსუს ნოგეირასს (კუბა), ალარ სეირაკს (აშშ), ვიქტორ კორჩნოის (შვეიცარია) და პრედრაგ ნიკოლიჩს (იუგოსლავია). საბჭოთა მოჭადრაკეთაგან საუკეთესო შედეგი აქვს ვიაჩესლავ ეიხგორნს. მან 3 შეხვედრიდან 2 ქულა მოაგროვა. ამდენივე ქულა აქვს, ოდონდ 4 შესაძლებლიდან, ლევ პოლუგაევსკის.

ლენდლისა და ვილანდერის კვალზე

ექს-ან-პროვანსში (საფრანგეთი) იუნიორ ჩოგბურთელთა ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი უფლმა ანდრეი ჩერკასოვმა მოიპოვა. ფინალში მან შვედი ნიკლას იუტგრენი დაამარცხა — 6:1, 6:4. ჩერკასოვმა და კოველმა ვლადიმერ პეტრუშევკომ გაიმარჯვეს წყვილთა ტურნირშიც — ინგლისელები ჯონ სასფორდი და რობერტ პეჩი დაამარცხეს — 6:3, 6:3. ქალთა წყვილებში ჯველს კოველებმა ნატალია მედვედევამ და ელენა ბრიუხოვეცმა აჯობეს, მედვედევამ ამასთან ერთეულია თანრიგში ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურა. გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება საბჭოთა ჩოგბურთელებმა მოიპოვეს.

ფრანგელმა პრესამ განსაკუთრებით აღნიშნა ჩერკასოვის წარმატება, რომელმაც რამდენიმე წლის წინ თორმეტწლიანთა ანალოგიური ტურნირი მოიგო, შარშან კი თექვსმეტწლიანთა შორის გაიმარჯვა. სხვათა შორის, იუნიორთა ეს ჩემპიონატი თავის დროს ივან ლენდლსა და მათს ვილანდერს აქვთ მოგებული.

თბილისის ბ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონი
8 აგვისტო
ფეხბურთი
II ლიგა, IX ზონა
„ვეკარდენი“-სპი — „დილა“ (გორი)
დასაწყისი 18 საათზე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელი“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივანი — 32-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 32-97-53,
წერილების განყოფილება — 32-97-55,
„ფერანი“ — 32-97-26, „მართვა“ — 32-97-27.

ჩვენი ინდექსი 68435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენიანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ბაგაზეთი კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07064